საქართველოს მთავრობის

დადგენილება №233

2013 წლის 9 სექტემბერი

ქ. თბილისი

„დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 თებერვლის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 თებერვლის №18 დადგენილებაში (სსმ, 11.02.2008 წ.) შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

ა) პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. აპარატს აქვს დასრულებული ბალანსი და ანგარიში ხაზინაში, ხარჯთა ნუსხა, ლოგო (დანართი №1) და ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.“;

ბ) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ დებულებისა და საშტატო ნუსხის (დანართი №2) შესაბამისად, აპარატში დგინდება შემდეგი თანამდებობები:

ა) სახელმწიფო მინისტრი;

ბ) სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე;

გ) სახელმწიფო მინისტრის მოადგილე;

დ) დეპარტამენტის უფროსი;

ე) ფინანსური მენეჯერი;

ვ) სახელმწიფო მინისტრის მრჩეველი;

ზ) სახელმწიფო მინისტრის თანაშემწე;

თ) პრესსპიკერი (მთავარი სპეციალისტი);

ი) მთავარი სპეციალისტი;

კ) სპეციალისტი.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული დებულების შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის დანართი №1:

„დანართი №1

დიასპორის საკითხებში

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის

ლოგო და აღწერილობა

ლოგო არის პირობითად სტილიზებული ხე, რომელიც თავისთავად წარმოადგენს ბუნების ნაწილს, ხეს, რომელსაც ღრმად აქვს გადგმული ფესვები მიწაში.

ფესვი ნიშნავს საკუთარ ქვეყანასთან ძლიერ კავშირს (დაბადებას, დაფუძნებას, განვითარებას), ხოლო მერქანი ნიშნავს თვით არსებობის სიძლიერეს. ძლიერი მერქანი ეს არის ძლიერი არსებობის სიმტკიცე. ტოტები და ფოთლები, ეს არის სამყაროს გაშლა, სამყაროსთან შერწყმა, შესისხლხორცება სხვა სტიქიასთან (ამ შემთხვევაში, უცხო ქვეყანაში გასვლა).

მწვანე ფერი, ეს არის სიცოცხლის სიმბოლო, სიცოცხლის ნიშანი, სიცოცხლის დაწყება და განვითარება.

ცისფერი არის სიცოცხლის საწყისი, ანუ ძლიერი სტიქიების (წყლის და ჰაერის) საწყისი, საიდანაც ყოველი ცოცხალი არსება იღებს სათავეს.

ოქროსფერი და ლურჯი ფერების კონტრასტი ლოგოზე ქმნის მკვეთრ შეხამებას. ლოგოს უკანა პლანზე არის პლანეტის გრაფიკული გამოსახულება, რომელიც შედარებით ბუნდოვანია, რათა ხის სიმბოლო ჩანდეს წინა პლანზე.“.

3. დადგენილებით დამტკიცებული დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საშტატო ნუსხის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №2

დიასპორის საკითხებში

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის

საშტატო ნუსხა“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**